№2718 2015 წლის 18 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთვის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ

საქართველოს 11 თვითმმართველ ქალაქში (თელავი, მცხეთა, რუსთავი, გორი, ახალციხე, ქუთაისი, ოზურგეთი, ამბროლაური, ზუგდიდი, ფოთი, ბათუმი) დაგეგმილი საახალწლო ღონისძიებების ხარჯების დაფინანსების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს გამოუყოს 454 800 (ოთხას ორმოცდათოთხმეტი ათას რვაასი) ლარი.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**